



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 80

2013 წლის 29 მაისი
ქალაქი ხაშური

ავტომანქანის (ზილ-130) სათადარიგო ნაწილების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 15 აპრილს (სატენდერო განცხადება SPA130008484) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის (ზილ 130) სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, რომლებსაც 2013 წლის 18 აპრილს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის კუთვნილი ავტომანქანის ზილ 130-სათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 13 მაისის N67 წერილისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის კუთვნილი ავტომანქანა ზილ 130-სათვის სათადარიგო ნაწილების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
1	სანთლები (სვეჩები)	16 ცალი	3.00	48.00
2	ელ. გამანაწილებლის კონტაქტები	2 ცალი	15.00	30.00
3	სამუხრუჭე მილი	2 ცალი	8.00	16.00
4	ძრავის პრაგლატკები (საფენები)	2 კომპლ.	50.00	100.00
5	ავტომანქანის ზეთი 20V50	20 ლიტრი	6.00	120.00
6	საპოხი მასალა ტაოტი	10 კგ	5.00	50.00
7	გამთიშავის დისკო	1 ცალი	80.00	80.00
8	გამთიშავის საკისარი მუფთით	1 ცალი	45.00	45.00
9	აკუმულატორის მომჭერი	4 ცალი	4.00	16.00
10	ჯვარა	2 ცალი	35.00	70.00
11	საწვავის ტუმბო	1 ცალი	50.00	50.00
12	ზილ 130-ის კარდანი	1 ცალი	100.00	100.00
13	ხიდის ზეთი	5 ლიტრი	6.00	30.00
სულ ჯამი:				755.00